პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

დაავადებათა ზედამხედველობის ეროვნული სისტემის გაძლიერება საქართველოში ეპიდემიოლოგიური და მოლეკულური (გენომური) ზედამხედველობის გაუმჯობესების გზით



განხორციელების ვადა: 13.06.2024 - 31.12.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 200 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 200 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Vilnius University Hospital Santaros Klinikos, Lithuanian National Blood Center, ESSC - Hea

პროექტის ვებსაიტები: www.ncdc.ge

პროექტის აღწერა:

პროექტი არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მნიშვნელოვანი ინიციატივა. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 1,2 მილიონ ევროს. პროექტის მიზანია საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება, კერძოდ, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში (დკსჯეც) გენომის სეკვენირების შესაძლებლობების განვითარება და ევროკავშირის რეგულაციებთან და ერთიანი ჯანმრთელობის კონცეფციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნული ინიციატივა შეესაბამება საქართველოს სტრატეგიული ჯანდაცვის პრიორიტეტებს და საკანონმდებლო ჩარჩოს, როგორიცაა კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ და მთავრობის შესაბამისი დადგენილებები და სტრატეგიები.

პროექტის სავალდებულო მიზნებია:
1-ლი კომპონენტი: საქართველოს კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან გენომური ზედამხედველობის საკითხებზე
მე-2 კომპონენტი: ეროვნული გენომური ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება
მე-3 კომპონენტი: ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება გენომური კვლევების უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად

მოსალოდნელი შედეგები:

საერთო მიზანი:

მიზანი: გენომური ზედამხედველობის გაუმჯობესება საქართველოში საკანონმდებლო და იმპლემენტაციის შესაძლებლობების გაზრდის გზით.

ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი (2023): დაავადებათა ზედამხედველობის არსებულ სისტემას გენომური სექვენირების შეზღუდული შესაძლებლობები აქვს.

სამიზნე მაჩვენებელი (2025): გენომური ზედამხედველობა სრულად ინტეგრირებულია ეროვნულ სისტემაში.

კონკრეტული პროექტის მიზნები:

მიზანი: დკსჯეც-ში გენომის სექვენირების შესაძლებლობების განვითარება და ევროკავშირის დირექტივებთან და ერთიანი ჯანმრთელობის კონცეფციასთან შესაბამისობაში მოყვანა.